ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება

Falck Rettungsdienste GmbH and Falck A/S v Stadt Solingen; Case C-465/17 REC; ECLI:EU:C:2019:234.

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება **სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და პაციენტების გადაყვანის მომსახურებებს და განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეიძლება ასეთი მომსახურებები არ დაექვემდებაროს საჯარო შესყიდვის წესებს.** სასამართლოს განმარტებით, გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ მომსახურება** აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს ერთდროულად: ის **ხორციელდება სპეციალურად მომზადებული პროფესიონალების მიერ და მოიცავს არამხოლოდ პაციენტის გადაყვანას, არამედ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას, აღნიშნული მომსახურება განკუთვნილია პაციენტისთვის, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა გაუარესდეს ტრანსპორტირების პროცესში და მას ახორციელებს არაკომერციული ორგანიზაცია.** იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ამ კრიტერიუმის შესრულება ვერ ხერხდება, მომსახურება სრულად ექვემდებარება საჯარო შესყიდვის პროცედურებს.

„38 პირველ რიგში, აუცილებელია, განვიხილოთ დირექტივის 2014/24 მე-10(h) მუხლის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს როგორც **გამონაკლისს, ასევე გამონაკლისის გამონაკლისს. აღნიშნული დებულება საჯარო შესყიდვის ზოგადი წესების მოქმედების სფეროდან გამორიცხავს იმ საჯარო მომსახურების ხელშეკრულებებს, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო თავდაცვას, სამოქალაქო დაცვასა და საფრთხის პრევენციას, ორი პირობის დაცვით**, კერძოდ, **მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს იმ CPV-ის** (შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის) **კოდებს,** რომლებიც მითითებულია აღნიშნულ დებულებაში, და **მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს არაკომერციული ორგანიზაციების ან ასოციაციების მიერ.** თუმცა, **აღნიშნულ გამონაკლისს აქვს თავის მხრივ გამონაკლისი** - ის **არ ვრცელდება პაციენტთა გადაყვანის სასწრაფო დახმარების მომსახურებაზე,** რომელიც რეგულირდება დირექტივის 2014/24 74-ე-77-ე მუხლებით განსაზღვრული საჯარო შესყიდვების გამარტივებული რეჟიმით.“

„39 დირექტივის პრეამბულის 28-ე პუნქტის მიხედვით ნათელია, რომ აღნიშნული გამონაკილისის მიზანს წარმოადგენს **არაკომერციული ორგანიზაციების ან ასოციაციების სპეციფიკური ბუნების შენარჩუნება, დირექტივით დადგენილი პროცედურების მათთვის არიდების გზით.** ამის გათვალისწინებით, იმავე პრეამბულის თანახმად, **აღნიშნული გამონაკლისი არ უნდა გაფართოვდეს იმაზე მეტად, ვიდრე ეს მკაცრად აუცილებელია.**

„40 ამ კონტექსტში, და როგორც გენერალურმა ადვოკატმა, არსებითად, მიუთითა საკუთარი მოსაზრების 64-ე პუნქტში, არ არსებობს არანაირი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ **პაციენტებზე ზრუნვა გადაუდებელი სიტუაციის დროს, მით უმეტეს, როდესაც იგი ხორციელდება სამაშველო მანქანაში სასწრაფო დახმარების თანამშრომლის/პარამედიკოსის მიერ, გათვალისწინებულია CPV-ის კოდით 75252000-7** (სამაშველო დახმარება).

„50 [...] **კვალიფიციური სასწრაფო დახმარების მანქანით ტრანსპორტირება მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოადგენდეს** CPV-ის კოდით 85143000-3 გათვალისწინებულ **„სასწრაფო დახმარების მომსახურებას“** დირექტივის 2014/24 მე-10(h) მუხლის ფარგლებში, **როდესაც, ერთი მხრივ, ტრანსპორტირება ხორციელდება პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სათანადოდ მომზადებული პერსონალის მიერ და, მეორე მხრივ, ეს მომსახურება მიეწოდება პაციენტს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტრანსპორტირებისას შესაძლებელია გაუარესდეს.**“

„51 შესაბამისად […] დირექტივის 2014/24 მე-10(h) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ **საჯარო შესყიდვის წესების გამოყენებისგან გამონაკლისი,** რომელიც მოცემულია აღნიშნულ დებულებაში, **მოიცავს როგორც სასწრაფო დახმარების თანამშრომლის/პარამედიკოსის მიერ სამაშველო მანქანაში საგანგებო სიტუაციაში მყოფ პაციენტზე ზრუნვას,** რომელიც გათვალისწინებულია CPV-ის კოდით 75252000-7 (სამაშველო დახმარება), **ასევე კვალიფიციური სასწრაფო დახმარების მანქანით ტრანსპორტირებას, რომელიც გათვალისწინებულია CPV-ის კოდით 85143000-3** (**სასწრაფო დახმარების მომსახურება**), **იმ პირობით, თუ** კვალიფიციური სასწრაფო დახმარების მანქანით **ტრანსპორტირება რეალურად ხორციელდება პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სათანადოდ მომზადებული პერსონალის მიერ, და მეორე მხრივ, მომსახურება მიეწოდება პაციენტს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტრანსპორტირების პროცესში შესაძლოა გაუარესდეს.**“

მოკლე მიმოხილვა:

სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და პაციენტების ტრანსპორტირების მომსახურება ზოგადად ექვემდებარება დირექტივით 2014/24/EU განსაზღვრულ საჯარო შესყიდვის წესებს, ხოლო **გამონაკლისის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მომსახურება სრულად აკმაყოფილებს შემდეგ** საკვალიფიკაციო **პირობებს**: ის ხორციელდება **არაკომერციული ორგანიზაციის** მიერ, მოიცავს არამხოლოდ პაციენტის გადაყვანას, არამედ **გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას,** და აღნიშნული მომსახურება ეხება ისეთ **პაციენტს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტრანსპორტირებისას შეიძლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს**. აღნიშნული გადაწყვეტილება ამკვიდრებს მნიშვნელოვან სამართლებრივ პრეცედენტს და ხაზს უსვამს, რომ **გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ზუსტად დადგენილ, გამოკვეთილ გარემოებებში, რათა არ დაირღვეს კონკურენციისა და ბაზარზე ხელმისაწვდომობის პრინციპები.**

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVI-B XVI-C XVI-H დანართები
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU „საჯარო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 2004/18/EC“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2014/24/EU მე-10(h) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ზოგადი გამონაკლისები**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება; Judgment of the Court (Third Chamber); Case C-465/17 -Falck Rettungsdienste GmbH and Falck A/S v Stadt Solingen; ECLI:EU:C:2019:234.*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.